


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 31 ივლისი 21 1896 წ. № 31

შინაარსი: სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—ლომი, ლექსი რუს-იმერელისა.—კუხიდან წერილის გამო ნადიკვრელისა.—*** ლექსი, განდეგილისა.—ნიანგი და მისი დარაჯი.—ჩალდირი (შემდეგი) ოტია ათაბაგისა.—საზარელი შიში ინგლისელი ქალისა.—ქართული მწიგნობრობა ზ. ჭიჭინაძისა.—საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებანი.—

## სხვა-და-სხვა ამბავი.

მთავარმართებლის თანაშემწე, ღენერალი, გრაფი ტატიშჩევი 18 ივლის წაბრძანდა კოჯორში საზაფხულოთ.

***

გაზ. „Нов. Обоз.“-ს სიტყვით, 28 ივლისს მოხდება კრება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა იმ კითხვის გასარჩევათ, რომ მიენდოს თუ არა ხსენებულ წოდებას კახეთის რკინის გზის გაკეთება. როგორც ვიცით, ეს კითხვა ამავე თავად-აზნაურობამ 1892 წელს აღძრა და ერთ დროს ამ საქმით გატაცება იქამდის მივიდა, რომ სრულიად ჭკუა-გონება დაუბნია ზოგიერთ ჩვენ ვითომ-და გულშემატკივართ. ჩვენ ვიცით, როგორ გათავდა ეს უდროვო გატაცება. ვნახოთ, ახლა როგორ მოაგვარებს ამ საქმეს ჩვენი „სახელოვანი“ წოდება.

***

ზ. ზ. ჭიჭინაძეს დაუმთავრებია შემდეგი მწერლების ბიოგრაფიები: აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და იაკობ გოგებაშვილის; ცენზურიდან ნება-რთვაც აუღია უკვე და ახლო ხანში ბეჭვდას შეუდგება. როგორც ეტყობა ბევრი საინტერესო ცნობები უნდა იყოს მოქცეული ამ ბიოგრაფიებში ჩვენი აწინდელი მწერლობიდან.

***

თბილისის ქალაქის თავს მიუმართავს თხოვნით ღუბერნატორისთვის ნებართვის ასაღებათ, რათა წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ქალაქმა გამართოს სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრითურთ.

***

გაზ. „Нов. Обоз.“-ას ატყობინებენ ქუთაისიდან, რომ თ. გიორგი აბაშიძეს აღმოუჩენია შავი ქვის (მარგანეცი) მადანი სოფ. რგანში, შორაპნის მაზრაში.

***

ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზ-

ნაურთა თხოვნები სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში საშუალო სამეურნეო სასწავლებლის გახსნის შესახებ არ დაკმაყოფილდა, საშუალების უქონლობის გამო. აგრეთვე უარი მოუვიდათ ქუთაისის, სტავროპოლის, განჯის, ერევნის, დაღესტნის ქუბერნატორებს და კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას პირველ-დაწყებითი სამეურნეო სასწავლებელთა გახსნაზე („Кавказъ“).

* * *

ფრიად სამწუხარო გარემოებაში იმყოფება თფილისის მდაბიო ხალხი. მოკლებული ყოველ გვარ გონების საზრდო მასალას, ეს აუარებელი მდაბიო ხალხი შესრულდება თუ არა საღამოს 7 საათი, მიქრის სარდაფებში და ტრაქტირებში, სადაც გაიმართება გადაჭარბებული სმა.

შაბათ ღამეს და კვირას უსიკვდილოთ მაგრათ დათრობა რაღაც სავალდებულოთ არის მდაბიო ხალხში მიჩნეული. კვირას ნაშუადღევის მეოთხე საათზე უმეტესი მათგანი იკრიბება არსენალის მახლობლათ; აქ იმართება ჭიდაობა, ყომარბაზობა, ჯიბგირობა ერთი-ერთმანეთის თავ-პირის დამტრევა და სხვა.

როგორც ეტყობა პოლიციამ არ უნდა იცოდეს ეს ამბავი, თორემ აგერ მეათე კვირა გადის და ამ ალიაქოთის და უბედურებისათვის არავის ყურადღება არ მიუქცევია.

* * *

ერთი თვე იქნება აგერ, რაც მთაწმინდის ქუჩები არ დაუგვიათ და ამის გამო დიდი უსუფთაობაა. მკვდარი ძაღლებით და კატებით გავსებულია ნაგორნის, პირველი ხევის, II ხევის, III ხევის და სხვა აქაური ქუჩები. ასე რომ მცხოვრებნი ამბობენ: ქუჩების მგველი მოიჯარადრე ან არ უნდა იყოს წელს და ან ეს მხარე დავიწყებული უნდა ჰქონდესო. აგერ ერთი წელიწადი გადის რაც ეს ასეა და არ ვიცით, რას უნდა მიეწეროს ეს უყურადღეობა.

* * *

სოხუმის საოლქოში, ოჩემჩირის მახლობლათ, ხილიკვარში, ქუთაისის მცხოვრებს თადეოზ პეიქაძეს აღმოუჩენია ქვა-ნახშირი („Кавказъ“)

* * *

შავი ზღვის საოლქოს მთიანი ადგილების შესწავლას, როგორც გაზ. „Бир. Вѣд.“ იუწყებიან, დაუმტკიცებია, რომ ამ ჟამათ ყველაზე უფრო გამოსადეგია დასასახლებლათ მდინარე სოჩის, შახეს და მისი ტოტი ბზიკის ხეობები, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინეთ დასახელებული იყო უბიხების მიერ. ამიტომ აქ დღემდის დარჩენილია შვენიერი კაკლის და სხვა ხეხილის ხეები. მიწაც ძლიერ კარგია ყოველგვარი ჭინახულისთვის, საბალახოები ბლომათ არის. მეფუტკრეობა ძლიერ იხეირებს ამ ადგილებში, რადგანაც სხვა-და სხვა გვარი მცენარები ყვავიან თითქმის შემოდგომის გასვლამდე. დასახელებულ მდინარეთა ხეობებში შესაძლებელია რომ დასახლდეს 1000—1200 ოჯახი.

* * *

გაზ. „Кавказъ“-ის სიტყვით ამ ჟამათ თბილისის ყველა სატუსაღოებში, სამხედრო სატუსაღოების გარდა, იმყოფება 693 კაცი, იმათში 14 პოლიტიკური დამნაშავეა.

* * *

ბატანიკური ბაღის გასადიდებლათ სამიწათ-მოქმედო სამინისტროს წარმომადგენელს კავკასიაში შეუძენია ყიდვით იქვე მდებარე თ. ჯამბაკურიან-ორბელიანის მამული ზომით 20 დესეტინა.

* * *

დამზადდა და გადაიცა ლითოგრაფიაში ამოსაჭრელათ სრულიად ახლათ შემუშავებული და შესწორებული ქართული წერის დედანი და სახატავი ნიმუშები, შედგენილი ქუთ. სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლის სამსონ დათეშიძის მიერ.

* * *

გიორგიევის ქუჩაზე (არჯევანიძის სახლი № 14, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) გაიხსნა ახალი ქართული წიგნის მაღაზია ს. ჭელიძისა და ი. იმედაშვილისა, სადაც ყიდულობენ და ჰყიდიან ყოველ გვარ ახალ და ნახმარ ქართულ-რუსულ წიგნებს.

* * *

19 ამა ივლისს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე არხიმანდრიტ ნიკოლოზის მკვლელის სტეფანე კალმახელიძისა, რომელსაც გადაუწყვიტეს ყოველი ღირსების ჩამორთმევა და ჩამოხრჩობა.

## საყურადღებო ამბები.

ლეჩხუმი. ივნის-ს ნახევრამდე შეუწყვეტელმა წვიმებმა შეაჩერეს ზრდა გვიან-დათესილი ყანეულობისა და ახლა კიდევ შეუწყვეტელმა უწვიმობამ ლამის-არის სულ მთლად ამოწვას ჭირნახული. ამ გვარმა ამინდებმა უფრო ცუდად სიმინდზე იმოქმედეს. ლეჩხუმში ფუთი სიმინდი ფასობს 80 კ., ფუთი პური 1 მ. 40 კ., დორა ღვინო (ფუთნახევარი) 5—7 მანეთამდე, რასაკვირველია საშუალო; ღვინის ღირსებას ვილა უყურებს. ვენახებში მილდიუ მძვინვარებს საშინლად, ამიტომ გლეხობას არც ვენახების მოსავლის იმედი აქვს. მართალია, წამლობა მილდიუსი ბორდოს სითხეთი (бордосская жидкость) თან-და-თან ვრცელდება ლეჩხუმში. გლეხობაც, (უმრავლესობა) ამ საშუალების სარგებლობაში დარწმუნებულია, მაგრამ შვიდი-რვა წლის სენის წინააღმდეგ, რომელმაც ვენახები დააძაბუნა და გახმო, ორჯერ ან სამჯერ წამლობა რას გააწყობს! ვინც წამლობის საჭიროებაზე დარწმუნებულია ასე გვეუბნება: ჩვენც-კი ვიცით, რომ კაი უნდა იყოს, მაგრამ, ბატონო, შეძლება არა გვაქს, რომ წამალი ვიყიდოთ. ჩემ ბატონს მეოთხედი მიაქვს, ვეუბნები მომიდექ ხარჯში, მაგრამ არა სურს. აქაური თავადები არამც თუ გლეხობას შველიან ვენახების წამლობაში, არამედ თვითონ თავიანთ ვენახებსაც იშვიათად წამლობენ. ვეებერთელა ვენახების პატრონები არიან და მარტო ორს თუ სამს მოეპოვება სასხურებელი მანქანა. სადილოქსეროს დასს აქვს რამდენიმე მანქანა შეუძლებელ ხალხისათვის და თავადები კი სარგებლობენ ამით.

დროებით ლეჩხუმელი.

* * *

ბარის ოსეთი. ექვს ივლისს ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა აქეთ. ხუთ ამ თვეს, სოფ. ხუმელაგაზე გამოიარა კავკავიდან მთელმა დრაგუნის ჯარმა, თავადი ჭავჭავაძის უფროსობით, რომელიც პეტიგორსკისკენ მიემგზავრებოდა. ღამე ხუმელაგაში გაათიეს. მეორე დღეს, ე. ი. ექვს ამ თვეს, ადრიანათ ჯარი აიშალა და გაემართა თავის გზაზე. პირველი საათი იქნებოდა, რომ ჯარი ჩავიდა სოფ. ელხოტში და დაიბანაკა ღამის გასათევად ცოტა ხანს შემდეგ ცა შავათ ჩამობნელდა და, ატყდა საოცარი ჭექა-ქუხილი, რომელსაც ზედ მოჰყვა საშინელი სეტყვა და ქარიშხალი. უფროსებმა მისცეს ბძანება ჯარის კაცთ, რომ ყველას თავ-თავისი ცხენი დაეჭირათ, მაგრამ, საუბედუროთ, საშინელი სეტყვის და ჭექა-ქუხილის გამო, ცხენები შეშინდენ, ჯარის კაცებმა ველარა გზით ველარ შეძლეს მათი დამაგრება; ცხენებმა გაიწიეს და დაგლიჯეს საბმურები; ათასამდინ ცხენი გაიფანტა სხვა-და-სხვა მხარეს. ასი ცხენი ერთმანეთზე გადაბმულები, აღელვებულ თერგს მიეცა, ორმოცი მათგანი გავიდა მეორე მხარეს და, სამოცი მდინარე თერგმა იმსხვერპლა. დანარჩენები მოედვენ სხვა-და-სხვა სოფლებს, მათ სოფლიდან სოფლამდე მიჰყვებოდენ მდევარნი ოსები. სწორეთ ექვსი საათი იყო რომ სოფელ ხუმელაგაში დაიწყეს ზარების რეკა. ხალხი დიდიან-პატარიანათ ფეხზე დადგა და ქუჩებში გაილობა. (ელხოტიდან ხუმელაგამდინ 40 ვერსია) სწორეთ კაცს ძალა უნებურათ ტირილი მოუვიდოდა ამდენი დამფრთხალი ცხენების საცოდაობით; ზოგი მათგანი ისე იყო გაგიჟებული და გალეშებული, რომ აღარ ეპუებოდენ აღარც გზის გალობას და აღარც არაფერს. 200-დინ ცხენი როგორც იყო დიდი წვალებით ხუმელაგაში დაიჭირეს. იმნაირათვე სოფ. ბესლანში, ყაყადურში და ქარძინში. ზოგი კავკავში ასულიყო თავიანთ ბინაზე. ოცამდინ ცხენი მოკვდა გზებზე სირბილის დროს. ჯერ სრულიათ არ იციან, რამთენი დაიხოცა და რამთენი გადავარდა სხვა-და-სხვა მხარეს. ჯარის უფროსმა ყველგან დეპეშები გაგზავნა. რომლებიც დაიჭირეს, მათშიაც ბევრი დიდათ დაშავებულია. ცხენებს დაფრთხობის დროს რამდენიმე ჯარის კაციც გაესრისათ და მოეკლათ. დაწვრილებით რასაც შევიტყობ ამ უბედური შემთხვევის შესახებ, შემდეგ ვაცნობებ „კვალის“ მკითხველთ. სადა ასეთი საშინელი სეტყვა მოვიდა, იმ მხარეს წლის მოსავალს რაც მოუვიდოდა, თვით მკითხველი კარგათ იგრძნობს.

ქართველი ოსეთში.

* *

აბასთუმანი. ჩვენში ბევრია ისეთი ადგილები, რომლებიც ბუნებას უხვათ დაუჯილდოვებია ყოველგვარი სიმდიდრით; ამ ადგილებში ყველაზე საუკეთესოთ, ჩემის აზრით, აბასთუმანი უნდა ჩაითვალოს, რომლის მდებარეობას და ჰავას ღირსებით ვგონებ არც ერთი ადგილი საქართველოში არ შეედრება ზაფხულობით. რომ იტყვიან „მკვდარს გააცოცხლებსო“, სწორეთ აქაურ ჰავაზე უნდა ითქვას; ვისაც არ უნახავს და არ გამოუცდია აქაური ჰავის ღირსება, რასაკვირველია, ამას იგი ვერ წარმოიდგენს. როცა კაცი პირველათ მიუახლოვდება აბასთუმნის მდებარეობას, ამ თვალ გადაუწვდომელ მაღალ, კარგათ შენახულ ფიჭვის ტყიან მთებს და ერთბაშათ წყნარი ნიავი დაუ-

ბერავს ამოსავლეთიდან, უხვათ და თავისუფლათ ისუნთქებს და იყნოსებს ფიჭვის სუნნელობას; ასე ეგონება კაცს, აი, ეს არის ახლა მომეხსნა და მომწყდა გულზე ჩამოკიდებული მძიმე საპანეო. შედარებით სხვა-და-სხვა სამკურნალო წყლებთან და „კურორტებთან“, აქ ცხოვრებაც ძლიერ იაფია და ქოველისფერი სანოვაგე ღირსებითაც ბევრათ უკეთესია, ვინემ სხვა ამისთანა ადგილებში, ასე, რომ არა თუ მხოლოთ, მდიდარ ხალხს შეუძლია აქ ცხოვრება, ღარიბთათვისაც კი მოსახერხებელია. აი, მაგ., თითო ოთახს თვეში აქ იშოვით 15—20 მან. აქაურ სასტუმროებში სულ წმინდა ერბოთი მომზადებულ საჭმელს ჰყიდიან, რაც სხვაგან იშვიათია; წვნიანი საჭმელები თითო კერძი ღირს 20—25 კაპ., შემწვარი 30—40 კაპ., ვისაც სასტუმროებში არა სურს პურის ჭამა და თითონ მოიმზადებს სახლში, იმას ხომ ბევრათ უფრო ნაკლებათ დაუჯდება. აქ ყოველთვის შეგიძლიათ იყიდოთ ვარიები ორ-ორ შაურათ და დედლები 20—30 კაპ. შეიძლება, საჭმელ-სასმელის სიაფე (?) აქ, ერთი მხრით, იმითი აიხსნებოდეს, რომ ადგილობრივ წყლებზე ჯერ იმდენი ხალხი არ მოსულა, რამდენიც სხვა კურორტებში; აი, მაგ., დღეს მკათათვის სამია, და ამ დროს, როდესაც სხვაგან ათასობით და ათი-ათასობითაც მიდიან ხოლმე, აქ კი ჯერ სამასი სულიც არ იქნება მოსული. ჯერ-ჯერობით ვინც არიან აქ, მომეტებული ნაწილი თფილისელი სომხობაა.

წლევანდლამდის აბასთუმნელებს ერთი პატარა ეკლესია ჰქონდათ, ისიც ძლიერ მოშორებით, ორსამ ვერსზე და წელს კი ახალ ეკლესიას აშენებენ შუა სოფელში.

აბასთუმანს ბევრ კარგ ღირსებასთან წვრილმანი ნაკლულევანებაც ბევრი აქვს, რომელიც არ შეჰფერის ასეთ ბუნების სამეფოს, მაგ., ერთი ის არის, რომ ადგილობრივ არავითარი სტა-ტისტიკური ცნობები არ იბეჭდება, მომსვლელ-ხალხთა რაოდენობაზე და გარდა ამისა, არც გაზეთები იყიდება. მეორე ნაკლულოვანებაც ის არის, რომ აქაური ქუჩები და ბაღები ღამ-ღამობით ვერ არის რიგიანათ განათებული, ასეთ სიბნელეში კი ბინდისას ძლიერ საშიშია დაბურულ ბაღებში სიარული, თუმცა სასიამოვნო ჰავა უფრო ამ დროს არის.

მაქრო ი. გაჩნაძე.

* * *

დ. ლაგოდეხი. 11 ამ თვეს შავი დღე გაუთენდათ აქაურ მცხოვრებთ. იმ დროს, როდესაც საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში მომხდარი უბედურების გაგონებით თავი გვქონდა მობეზრებული, დღეს თვით ჩვენ ვხდებით იძულებული ქართველ საზოგადოებას ჩვენი უბედურების მოსმენითაც თავი მოვაბეზროთ.

ყველას მოეხსენება, რომ ერთათ-ერთი სახსარი ცხოვრებისა ლაგოდეხლებისთვის იყო თამბაქო, რომელსაც ცის მანანასავით შეჩერებოდა დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი.

ის იყო თამბაქო გაიზარდა და დასაკრეფათ გამზადდა, როდესაც სეტყვამ მოუსწრო და სულ ერთიანათ ჩარეგვა. ეს უბედურება მოხდა 11 ამ თვეს, საღამოს 9 საათზე. მეორე დღეს ის სანახავი თქვენმა მტერმა ნახოს, რა სანახავიც მეთამბაქოებმა ნახეს: მათი თავ-მომწონეთ წამოყოყოჩებული, ფართე ფურცლებით გაბადრული და ზღვასავით გამდგარი თამბაქო სეტყვისაგან, ადგილ-ადგილ, მთლათ დამტვრეულ-დამსხვრეულლიყო, დაცრეცილ-დახვრეტილიყო. მეპატრონეები თავზარ დაცემულნი შეცქერიან ცარიელს ღეროებს და მათ მწუხარებას საზღვარი არა აქვს. არა ნაკლებ მწუხარებაში იმყოფებიან ქიზიყიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან ორიოდე გროშის საშოვნელათ მოსული მუშები, რომლებიც დღეს იძულებული ხდებიან საიდანაც მოსულან, იქვე გაბრუნდენ ხელ-ცარიელი. გარდა ამისა ზოგიერთ მათგანს ფულიც აქვთ ასაღები, მაგრამ აიღებენ თუ არა, ეს ღმერთმა იცის. აქამდის რომ მთელი ლაგოდეხის დუქნები და ქუჩები დაგველოთ, ათიოდე ცუდა-კაცსაც ძლივს შეხვდებოდით. დღეს კი მთელი ბაზარი, დუქნები და ქუჩები სავსეა უსაქმურ-ხალხით.

მართალია, დაზარალებულთა შორის არიან იმისთანა ჯიბე-სქელი პლანტატორები, რომლებისთვის ათასი მანეთის დაკარგვა ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ არიან იმისთანებიც, რომლებსაც თუმანი ათ შაურათ ჰქონდათ ნასესხები და ამ ნავალებ-ნავახში ფულით კი თამბაქოს აკეთებდენ.

ზოგიერთ პლანტატორებმა თავიანთი მუშები დაიბარეს, ანგარიში გაუსწორეს და „თავისუფალი ხართ, სადაც გინდათ იქ მიბძანდითო“, გამოუცხადეს.

მეთამბაქოების გადმოცემით, დასეტყვილია 180 დესეტინა, სულ თამბაქოთი დათესილი ადგილი.

მათივე სიტყვით ზარალი აღემატება ოთხმოცათასს თუმანს.

თამბაქოს დასეტყვით, პლანტატორებ-მუშებიანათ გაუბედურებულია ათასამდე კაცი.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება ვისიც ჯერ-არს და დაზარელებულთ გადასახადი მაინც

შეუმცირონ, ან სხვა რაიმე საშუალებით დახმარება აღმოუჩინონ.

არტ. ბ—ძე.

***

სამეგრელო. ჩვენდა საუბედუროთ, სამეგრელოში ცხენის ქურდობა დიდი ხნიდან არსებობს, ეს უმგვანი და სამარცხვინო თვისება ჩვენ ხალხს თითქმის ხელობათ ჰქონდა მიღებული. დღეს ჩვენი სენაკის მაზრის მცხოვრები საშიშარ მდგომარეობაში იმყოფება ქურდების და ავაზაკების გამო. აქ არასოდეს იმ გამბედაობამდის არ მიუხწევია ავაზაკობას, როგორც ამას ვხედავთ დღეს. სამეგრელოში წინეთ ქურდები მხოლოთ მინდვრიდან იპარავდენ ცხენებს. ძლიერ იშვიათათ მომხდარა ჩვენში, რომ ქურდს სახლიდან გამოეყვანოს ცხენი, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს სულ სხვას ვხედავთ: ავაზაკობა, ოჯახების გაცარცვა, სახლების გატეხა, გზაზე მგზავრების გაცარცვა, განძრახვით კაცის დახრჩობა ანუ სიკვდილი და სხვანი გაგვიხშირდა — გაგვიძლიერდა; ცხენის, ხარის და სხვა პირუტყვის ქურდობა სამარცხვინო მოვლენათ არავის მიაჩნია. ამისთანავებზე დღეს ადგილობრივ მამასახლისსაც აღარ აწუხებენ თხოვნით, რადგანაც კარგათ იციან, რომ ყოველივე ეს უყურადღებოთ ჩაივლის. ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ რაც მძიმე ავაზაკობა მოხდა სენაკის მაზრაში ამ უკანასკნელ წლებში, არც ერთი არ აუხსნიათ. თუ ვინმეს ახსნილი ჰგონია დაბა ნოქალაქევიდან სენაკს მიმავალი სახელმწიფო ხარკის მძარცველების დაჭერა, სამართალში მიცემა და დასჯა ეს დიდი შეცდომაა: ის მძარცველები თავიანთი თავის გამცარცველი და დამნაშავე რომ არ არიან — ეს ყველასათვის დღეს ცხადია. ეს უბედური შემთხვევა ადგილობრივ მოხელეებს უნდა მიეწეროს. ამისთანა მძიმე საქმის ასე დაუხედავათ და სუსტათ წარმოება, ერთი მხრით, ავაზაკებს ამხნევებს და, მეორე მხრით, ხალხს ღუპავს.

მოხუცი მეგრელი.

---

## ლ ო მ ი.

ლომს თუნდ ჭანგებიც დააძრო
ის გულით მაინც ლომია,
მისი უკვდავი სურვილი
მტერთან ბრძოლა და ომია!

—

თუნდ შეჰკრა რკინის გალია,
შიგ გყავდეს გამომწყვდეული,
იქაც თავს ლომათ იგულვებს
თავისუფლებას ჩვეული.

—

თუმცა მინახავს ამ დღეში,
რომ დამბელს ელამუნება,
მაგრამ ამ დროსაც სულ სხვას გრძნობს
მისი ზვიადი ბუნება.

—

გრძნობს, რომ ოდესმე ყოფილა
ნადირთა მეფე სვიანი,
თვით მეომარი უბადლო,
თავ-ზარ დამცემი ხმიანი!

—

და დღეს ღალატით დაბმულმა,
სურს შეიკრიბოს ძალია,
მარჯვე დრო ნახოს და მაშინ
დალეწოს რკინის გალია,

—

აიშვას დატყვევებულმა,
ისა ქნას რისაც მდომია
და აგრძნობინოს თვისს დამბმელს,
რომ ლომი მუდამ ლომია!..

—

ბრძოლაში შექნილ-შობილა,
აღზრდილა მუდმივ ბრძოლითა
და მისი შეცვლა ვის ძალ-უძს
ტყვეთ გალიაში ყოლითა!

რუს-იმერელი.

---

## კუხიდან წერილის გამო („კვალი“ № 29 *).

მე დიდი ხანია მინდოდა მეთქვა რამე კუხის „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობაზე“, მაგრამ სხვა-და-სხვა გვარი მიზეზები ხელს მიშლიდენ ამ განზრახვის ასრულებას. დღეს კი, რო-

*) შენიშვნა. სიამოვნებით ვბეჭდავთ ბ. ნიდიგვრელის წერილს „ამხანაგთაგანის“ წერილის წინააღმდეგ. მაგრამ რედაქცია ამასთანავე თავის ვალათ რაცხს შენიშნოს, რომ ის არასოდეს უკან არ დაიხევს რაიმე ნაკლულევანება უჩვენოს იმისთანა საზოგადოებრივი ხასიათის საქმეში, როგორიც არის, მაგ., კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა. რედაქცია ამ შემთხვევაში სრულმძლევანე-

ცა ხსენებული ამხანაგობის ერთ „ამხანაგთაგანს“ გამოულაშქრებია მის წინააღმდეგ, მე მსურს ხმა ამოვიღო. ამას მაიძულებს მე აგრეთვე ის გარემოებაც, რომ „კვალის“ რედაქციას ამ „ამხანაგთაგანის“ წერილისათვის თავისი შენიშვნა გაუკეთებია, საიდანაც ჩანს, რომ თვით რედაქცია ამ საგნის შესახებ ეჭვში დარჩენილა.

სანამ თვით საგანზე გადავიდოდე, მსურს მკითხველს გავახსენო ერთი წერილი, რომელიც „კვალის“ იმავე 29 №-ს იყო დაბეჭდილი. მე ვამბობ პატივცემული გ. წერეთლის წერილზე, რომელიც მოგვითხრობს იმ საგანზე, რომ ჩვენ ეგრეთ წოდებულ ინტელიგენციას ძალიან დიდი მადა აქვს გახსნილი, რომ რაც შეიძლება დიდი ნაჭერი იგდოს საზოგადო სათალიდან, თუ კი რომელიმე დაწესებულება ჩვენში საზოგადო სათლათ გადაქმნას ეღირსა. სინამ ეს მოხდებოდეს, თითოეულ ინტელიგენტს იმდენი საქმე აქვს საკუთარი, რომ საზოგადო საქმეს შორს გაურბის; საზოგადოებაში კი პატიოსნებაზე ფიცით იმართლებს თავს, რომ აუარებელი საქმის გამო ვერ ემსახურება საზოგადო საქმეს. მაგრამ აი, რამდენიმე უანგარო მოღვაწეთა მეოხებით საქმე სათლათ შექმნილა უკვე, მაშინ კი იგივე ინტელიგენტი დროსაც შოულობს და მოცალეობასაც, რომ რაც შეიძლება დიდი ნაჭერი მოითალოს. დიდი წინასწარმეტყველებითი ნიჭი არ არის საჭირო, რომ კუხის ამხანაგობას უწინასწარმეტყველო შემდეგი: რამდენათაც კუხის მეაბრაშუმეთა ამხანაგობა ფეხს მოიმაგრებს და საზოგადო სათლის უტყუარ თვისებას შეიძენს, იმდენათ მრავალი გამოჩნდებიან იმისთანა პირნი, რომელნიც ამხანაგის სახელით დაუწყებენ ამ საქმისათვის წამებულს ბ. წერეთელს, მითომ და კრიტიკას, ცილის-წამებას, რომ როგორმე თბილი ადგილი ჩაიგდონ ხელში. ახლა გადავიდეთ ბ. ,,ამხანაგთაგანის“ წერილზე და გავშინჯოთ, თუ რამდენათ ის სიმართლეს მოკლებულია.

მე უცხო კაცი, რომელიც არც ამხანაგი ვარ და არც პარკი მაქვს გასაყიდი ვამოწმებ შემდეგს: 1) ორი წელიწადი კი არ სრულდება მეორე წელიწადი იწყება, რაც ამხანაგობა მოქმედებს. 2) მიზანი ამხანაგობისა—,,ხალხის დახმარება“ იმ-ით კი არ ირღვევა, რომ ამხანაგობა არა ამხანაგებიდანაც ყიდულობს პარკს. 3) თქვენ, შეგნებულო ამხანაგო, რომელმაც წერა-კითხვა მაინც იცით, ვერ გაგიგიათ ბ. წერეთლის სიტყვა თქვენდა მომართული, რომ ერთ დღეს ყველას ნუ მოგაქვთ პარკი, ნუ გეშინიათ, ჯერ კიდევ ათ-ხუთმეტ დღეს პეპლათ არ გამოვაო; ერთათ მოტანილს ვერც მოუვლით და ფასიც დაეცემა, რადგანაც არა ამხანაგებიდან თუ რამდენიმე ჩვენ არ ვიყიდეთ, ნიხრის ბატონათ სხვა იქნებაო და სხვ. თქვენ, როგორც ვხედავ, ვერც ახლა შეიგნებთ, რომ ნიხრის მაღალ ფასებში დაჭერა თუ რას ნიშნავს. თქვენ თქვენი ცხვირი გახსოვთ მარტო, ცხვირს იქით თვალი არ გიჭრით. კუხის ფარდულში ბ. წერეთელმა მოათავსა ათას ასი ფუთი პარკი ხუთას სამოცი კაცისაგან ნაყიდი და ამათში არა ამხანაგნი არიან მარტო ას ცამეტი. ხონის ფარდულში 857 კაცის პარკი მოათავსა და ამათგან ნახევარზე მეტი ამხანაგები არიან. ხონში 400 კაცისაგან და ს. კუხში ას ცამეტი კაცისაგან, თქვენის აზრით, არ უნდა ეყიდნა, ესენიც იმათ მიმატებოდენ, რომელთაც პარკი მიჰქონდათ ჩარჩებთან? მაშინ ხომ რვა მანეთიდან ხუთზე და ოთხზე ჩამოვიდოდა ფასი! როგორ გგონიათ, ვის ან რას უნდა მივაწეროთ, რომ რა დღესაც ხონში ჩარჩები 8 მან. და 40 კაპ. აძლევდენ, იმავე დღეს აბაშაში ფუთი პარკი 4—5 მან. იყიდებოდა? ვთქვათ, ბ. წერეთელმა მარტო ამხანაგებისაგან იყიდა გირვანქა 25 კ. და არა ამხანაგები კი ჩარჩებს დაულოცა 4—5 მანეთათ ფუთი. ბ. წერეთელი ვისლა მიყიდის ამხანაგების პარკს? ყოველი მყიდველი ხომ ცდილობს დაბალ ფასში იყიდოს საქონელი. ჩარჩებმა მანეთ მოგებით რომ გაყიდონ ე. ი. 5—6 მან., მაინც მოგებული იქნებიან. ამხანაგობას კი 11 მან. ვინ მიცემს, როცა 5—6 მან. შეიძლება იყიდონ? თქვენ ღრმა ჩაფიქრებას, რომ დაეჯერებოდეს, გამოვა, რომ ბ. წერეთელმა ამხანაგობა თითოეულ ფუთში 4—5 მან. უნდა აზარალოს, რაც პირდაპირ ძირს გამოუთხრის ამხანაგობას; და ეს კი მხოლოთ ჩარჩებისათვის იქნება გასახარელი. 5) სამი ფუთი თესლი ამხანაგობას დაურიგებია და თქვენ ვერ შე-

ლობს, ერთი მხრით, იმ შეხედულებით, რომ ვერავითარი ცილის-წამება ვერ შეხუთავს ჭეშმარიტ საქმეს და მხილება საზოგადოთ ერთი უკეთესი იარაღთაგანია ყოველივე საქმის წარმატებისა; მეორე მხრით, განა ახალი ამბავია, რომ erare humanum est—შეცდომა ადამიანის თვისებას შეადგენს; ამიტომ რა საბუთი გვქონდა ჩვენ, რომ უთუოთ ქების გარდა რომელიმე დაწესებულებაზე სხვა არა გვეთქვა-რა. და განა ცოტა რამ საქები უბეჭდია ჩვენს რედაქციას თუნდ ამ კუხის ამხანაგობაზე? აიღეთ და გადაათვალიერეთ ,,კვალის“ წარსული №№-ბი და თქვენ აშკარათ დარწმუნდებით, რომ ქების მეტი რედაქციას ამ ამხანაგობის შესახებ სხვა თითქმის არა უთქვამს-რა. დეე, ამ შემთხვევით კიდევ ერთხელ დარწმუნდეს მკითხველი საზოგადოება, რომ არანაირი მხილებისაგან არც ერთი საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულება არ არის დაზღეული.

რედაქ.

გიგნიათ, რომ ამით ბ. წერეთელს სურეებია, ხალხი აეცდინა უხეირო თესლის დამრიგებელთაგან, რაც დიდ ღვაწლათ უნდა ჩაეთვალოს; თქვენ კი ამას საპტიკათ უსაყვედურებთ ამხანაგობას. ბ. წერეთელს თესლის დარიგების დროს უთქვამს, ამ თესლის პარკს კარგ ფასში გაგაყიდვინებთო. ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ რაც ქუთაისის გუბერნიაში პარკი მოვა, მე ვიყიდიო, არა. კარგი თესლიდან კარგი პარკი იქნება და მე ვეცდები ნიხრი კარგი ექმნესო. 6) ამხანაგობას პარკისათვის შარშან სიგძით 30 არშინი ფარდული ჰქონია და ახლა 130 არშინი ფარდული აქვს და ამას ხომ ყოველი თვალხილული ადამიანი გაარჩევს. შარშან მარტო კუხში ჰქონდა ამხანაგობას ფარდული და წელს ორი იმოდენა ხონში დაამზადა ბ. წერეთელმა, ესეც ხომ ყველასათვის ცხადია. ის ამხანაგები, რომლებმაც დაორთქლილი პარკი სახლში წაიღეს გასახმობათ, ბევრათ მოგებულნი დარჩენ, რადგანაც ფუთზე 50 კაპეიკიდან ერთ მანეთამდი მიეცათ. ამით ბ. წერეთელს სურს ხალხი შეაჩვიოს პარკის შინ გახმობას, რადგანაც ეს შემდეგში კიდევ უფრო საჭირო შეიქნება. ბ. წერეთლის წლევანდელ მოქმედებაში ყველაზე საქები და სასიქადულო ეს განკარგულებაა და თქვენ კი არ გსურთ ეს გაიგოთ. საკვირველ არიან საქმენი შენნი! ,,ამას შემდეგ საჭიროა გავაკეთოთ თითოეულ სოფლის ყურეში სახრჩობი მანქანებიო“, გაიძახით თქვენ. ამხანაგი კი ხართ და არ იცით, რომ ბ. წერეთელმა კიდეც გააკეთა სოფლებში საორთქლაევები და ამოქმედა კიდეც. იცით, როგორ არ იცით, მაგრამ გინდათ თქვენ მოგაწერონ სასარგებლო მოსაზრება, რომელიც თქვენზე წინ სხვამ განახორციელა. ამას მეტიჩრობას ეძახიან.

დიახ, საჭიროა ბ. წერეთლისათვის თანაშემწე, ხოლო უანგარო და საქმის მოყვარული, ხალხის თანაგრძნობელი და არა თქვენისთანა, რომელსაც თავის თავი ხალხი ჰგონია და ხალხათ მარტო თვისი პიროვნება მიაჩნია. აბა, ვინ არის, ვინც თანამშრომელობას გაუწევს ბ. წერეთელს?

მადლობის ღირსნი არიან მღ. პეტრე ცაგარეიშვილი, ბ. ალექსანდრე შაველაყაძე და კოტე ქუთათელაძე, რომელნიც შეძლებისა-და გვარათ ემსახურებიან საზოგადო საქმეს.

ამიტომ, როგორც კეთილის-მყოფელი, გირჩევთ, ცილის-წამებას თავი დაანებეთ. დაიჯერეთ, რომ ჯერჯერობით ამხანაგობას ესაჭიროება უსასყიდლო მუშაკნი, ყველას ვერ მოუთვლის და როცა სათალიძაან დამსხვილდება და თქვენც ორი ფარდულის ერთისაგან (30 არშინის 130 არშინიდან) გარჩევას ისწავლით, მაშინ, შეიძლება, თქვენც მოგითვალონ, კუხის ამხანაგობას მე კიდევ დაუბრუნდები ახლო მომავალში.

ნადიკვრელი.

---

(ვუძღვნი კნე. მ. ა -ს)

ერთხელ კიდევ გამიღიმე ტკბილათა,
ერთხელ კიდევ გამაგონე ხმა შენი;
ვარსკვლავივით ჩემთვის გააციმციმე
ეგ თვალები, ცის და ქვეყნის მაშვენი.

—

ფიანდაზათ გადაგიშლი ამ გულსა,
შენ კი მაზე ინავარდე, იარე,
გამიგონე, შენთვის დამწვარ-დაგულსა,
ფერხთა მტვერი მაინც გამიზიარე!..

—

რა შეგცოდე? რითი ვარ დამნაშავე,
რომ ეგ სხივი ჩემთვის აბნელ-აშავე,
ერთხელ მაინც გადმომხედე, შენთვის მკვდარს,
შემიბრალე, გრძნობა ნუ გაიქვავე...

—

დე დამგმონ, ქვეყანამ შემაჩვენოს,
თვით მშობელმა წყევლა-კრულვით მახსენოს,
შხამი მასვას,—მაინც კიდე მოვრჩები,
თუ მომაკვდავს შენი თავი მაჩვენოს...

—

ერთხელ კიდევ გამიღიმე ტკბილათა,
ერთხელ კიდევ გამაგონე ხმა შენი,
ცის ნათელათ მომიშუქე, უბედურს,
ეგ თვალები მთელი ქვეყნის მაშვენი!..

განდევგილი.

---

## ნიანგი და მისი დარაჯი.

ნიანგი ხვლიკის (ჯოჯოს) მსგავსი ცხოველია, ხოლო გაცილებით უფრო დიდია. შეხედულება მისი საზიზღარი და საშიშარია. ნიანგი მდინარეში და საზოგადოთ წმინდა წყალში ცხოვრებს. მლაშე, მარალიან წყალში მას ერთი წუთიც არ შეუძლია დაჰყოს. ამიტომ ნიანგი ზღვებში არ მოიპოვება. მთელ დროს წყალში ატარებს, ხოლო



ეკლესია ბენარესში (ინდოეთი).

ხმელეთზე დასასვენებლათ, დასაძინებლათ და კვერცხის დასადებათ გამოდის. ნიანგი 40—100-დე კვერცხსა დებს მდინარის ახლოთ ამოთხრილ ორმოში. ზევით კვერცხებს ან სილას დააყრის ან ფოთლებს დააფარებს. კვერცხებს თითონ როდი დააჯდება გამოსაჩეკათ; მზის სხივი აცხუნებს კვერცხებს და ამ სითბოთი გამოიჩეკებიან წიწილები. საჭირო სითბო იმითაც ჩნდება, რომ ფოთლები იხრწნებიან, ლპებიან. ნიანგი ფილტვებით სუნთქავს, და ამისი ბრალია, რომ დასაძინებლათ ხმელეთზე გამოდის. ნიანგი დაუნდობელი და საშიშარი მხეცია. იგი ადამიანსაც არ დაინდობს ხოლმე. ბავშები ხშირათ შეიქნებიან მისი მსხვერპლი. ამის ბრალია, რომ ეგვიპტეში ნიანგი ღმერთათ ჰყავდათ აღსარებული. ტროპიკულ მხარეებში მცხოვრები ნიანგი სალათას ძილს მაშინეძლევა, როცა სიცხეები დადგება, წვიმა აღარ მოდის და ყოველივე გამხმარია. ჩრდილოთ ამერიკაში მცხოვრები ნიანგი კი ზამთრობით მიეცემა ხოლმე სალათას ძილს ისე, როგორც ჩვენებური დათვი. როცა რასმე ჭამს, ნიანგს თვალები ეცრემლება, თითქოს წუხდეს, ტიროდეს, რომ თავის მსხვერპლს ასე უწყალოთ ძიძგნის. აი, ამიტომ ვიტყვით ხოლმე „ნიანგის ცრემლებით", როცა გვინდა ვთქვათ, რომ ვინმე გარეგნობით, თვალსაჩინოთ ვითომ დიდი თანამგრძნობელია მეორის მწუხარებისა, ნამდვილათ კი მისი მოსისხლე და დაუძინებელი მტერია.

ნიანგს კბილები ისე მოუხერხებლათ აქვს ჩამდგარი, რომ ჭამას შემდეგ მას პირში ბევრი ნაწილი დარჩება და გაეკლისება. ძალზე გამაძღარი იგი ხმელეთზე გამოდის და პირ-გაღებული ძილს მიეცემა. ამ გარემოებით სარგებლობს ერთი მუნებური პატარა ჩიტი-Cursorius aegyptius. იგი ნიანგის გაღებულ პირში შეძვრება და შიგ ჩარჩენილ საზრდოს არხეინათ შეექცევა. ორი სხვა-და-სხვა ცხოველის ასეთ დაახლოვებას კომენსელიზმი ჰქვია, ჩვენებურათ მეგობა, სუფრის გაყოფა. აქ ერთის მიერ მოპოვებული საზრდოთი მეორეც სარგებლობს. მეორე კი პირველს სხვა გვარ დახმარებას უწევს. მართლაც, ნიანგისათვის გამოსადეგია ის ჩიტი. ნიანგმა ღრმა ძილი იცის. ამიტომ ძილის დროს იგი ადვილათ შეიქნება მტრის მსხვერპლი, თუ რომ ის ჩიტი არ ჰყოლოდა დარაჯათ. ეს ჩიტი, ეს დარაჯი ფხიზლობს, საჭმელს შეექცევა, მაგრამ ამავ დროს ის ძლიერ ყურ მახვილია. თუ რამ სახიფათო შეამჩნია, მაშინვე აფრინდება და შესაზარავ ხმაურობას ასტეხს. ამ ხმაურობაზე ნიანგს გამოეღვიძება, მაშინვე წყალს მიაშურებს და მტერს გაუსხლტება. მართალია, იმ ჩიტისთვის სახიფათო უნდა იყოს ნიანგის პირში ყოფნა. ნიანგი როდია დიდსულოვანი და გულ-კეთილი, რომ თვისი დარაჯის სამსახური ღირსეულათ დააფასოს. უეჭველია, ნიანგი უარს არ იტყოდა, რომ თვისი დარაჯის ხორცი ეგემრიელებია, მაგრამ მაგარი ის არის, რომ არც ის ჩიტია გულ-უბრყვილო და დიდი ოპტიმისტი. იგი ფრიად მარდი, ცქვიტია, და, თუ რამე ისეთი შეამჩნია, მაშინვე, ვიდრე ნიანგი ყბებს ერთმანეთს დაუახლოვებდეს და პირს მოკუმავდეს, გამოფრინდება და ჰაერში შეინავარდებს.



ნიანგი და მისი დარაჯი.

# ჩ ა ლ დ ი რ ი

### თავისი შესანიშნავი შენობებით და ტბებით.

(შემდეგი *).

მეხუთე თუ მეექვსე საუკუნეში იქ, სადაც დღეს იმყოფება ჩალდირის ტბა და ალჭა-ყალის ნახევარი კუნძული, იყო გაშლილი დიდი ჭალა, რომელზედაც გაშენებული იყო შვენიერი ქალაქი; ამ უკანასკნელს უნდა რქმეოდეს ჭალა-დიდი და ცვლილების გამო ჩალდირი დაერქო. ეს ქალაქი იმით იყო შესანიშნავი, რომ აქ იმყოფებოდენ საუკეთესო ხელოსნები, რომლებიც ყველგან ავრცელებდენ თავის ხელობას. როგორც ამ ქალაქის, ისე იმ მთელი კუთხის ბატონი ყოფილა ერთი ვინმე ქართველი თავადი, რომელსაც დიდი გავლენა და სახელი ჰქონია უცხო ქვეყნებში ჭკუითა და ვაჟკაცობით.

იმ დროს ეს თავადი ემორჩილებოდა ქალაქ ანის მეფეს, რომელიც იყო მაშინ კერპთ-თაყვანისმცემელი და დიდათ მოჰქონდა თავი. ჭალა-დიდში თუმცა მდინარე არ ყოფილა, მაგრამ მის ნაცვლათ ყოფილა ერთი დიდი უზარ-მაზარი აუზი, რომელშიაც ჰქონდათ თავი მოყრილი მრავალს წყაროებს. ამ დიდს აუზს ჰქონდა გაკეთებული ჭახრაკით ღარი და როცა წყალი დაჭირდებოდათ, მაშინ ღარის ჭახრაკს მოუშვებდენ და წყალი გადმოდიოდა რამდენიც სურდათ. ამ ქალაქის თავადს ჰყავდა ორი ქალ ვაჟი, რომლებსაც გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი. როდესაც ვაჟი მოიზარდა, მამამ უთხრა თავის შვილს: „წადი, შვილო! სოფელი განიერია, გაიცანი ქვეყნები, შენი თავიც გააცნე, ან იშოვე რამე და ან დაჰკარგე“. გამოაწყო შვილი დიდებულათ, აახლა რამდენიმე ასი კაცი თვისი სურსათით და გაისტუმრა სახელის მოსახვეჭათ. ორი წელიწადი გაატარა ყმაწვილმა გარეთ და სულ გამარჯვების ამბები ესმოდათ მშობლებს. ამის გამო ყმაწვილის მოყვარული და ხშირათ გადიოდა დიდ აუზთან, თან ბანაობდა ხოლმე და თან ძმის გამარჯობაზე ლექსებს თხზავდა (ეს ლექსები დღესაც ახსოვთ ჩალდირში). ერთხელ, როცა თავადის ქალი იყო წასული საბანაოთ და სიმღერით იყო გართული, უეცრათ მოიჭრენ მოახლე ქალები და მოახსენეს ძმის მობრძანება. სიხარულით აღტაცებულმა დამ ჩაიცვა, საჩქაროთ და ჭახრაკის დაკეტა კი დაავიწყდა. დიდი ხნის მოგროვილმა წყალმა ერთბაშათ იგრიალა და უეცრათ დაჰფარა იქაურობა. თუმცა გონს რომ მოვიდა თავადის ქალი, კაცები გაგზავნეს, მაგრამ რას უშველიდენ, წყალი თან და თან მატულობდა, ასე რომ ძლივს თავი გადაირჩინეს დახჩობიდან. ამ გვარათ ამისთანა დიდებული ქალაქი თვისი მომეტებული მცხოვრებლებით იქცა ტბათ; ამ ქალაქის ნაწილია დღევანდელი ალჭა-ყალა, სადაც ზემო ხსენებული ნანგრევებია. თავადმა ძლივს გაასწრო თავის ცოლ-შვილით დახრჩობას და დაესახლა იქ, სადაც არის დიდი უძველესი ციხე „ქაჯთა—ციხე“ ანუ თათრულათ „შაითან—ყალა“, რომელიც თქვენ დღესვე ნახეთ და კიდევაც დაწვრილებით გიამბობთ იმის ამბავს თავიდანბოლომდე. ძველი კაცები იტყოდენ ხოლმე, როდესაც ტბას გაყინავდა, ყინულს ქვეშ შენობები ჩნდენ და მათ შორის ერთი უდიდესი იყოვო, რომელსაც თავზე ბჭყვინავი რამ ჰქონდაო; მათ ეგონათ რომ ეს ეკლესია იყო ჯვრით. მეთევზეები დღესაც პოულობენ ხოლმე წყალში ოჯახის ავეჯეულობას.

## II

გაიარა ერთმა საუკუნემ მას შემდეგ, რაც ჩალდირი დაილუპა წყალში და ამის გამო ქაჯთა-ციხეს დასახლებულმა თავადის მოდგმამ უარჰყო ანის მეფის მორჩილება და ბეგარის მიცემა. თავადის ამნაირმა ქცევამ გააჯავრა ანის მეფე, შთამომავლობით სპარსი, რომელმაც გამოგზავნა თავისი სარდალი დიდ ძალი ჯარით; ეს ჯარი შემოერტყა ზემოხსენებულ ციხეს. მხნე ქართველები ისე გაუმაგრდენ მტრებს, რომ შახთან-შახი (სპარსეთის სარდლის სახელია) ძლიერ დაღონდა და არ იცოდა რა ექნა. დიდ ხანს ცდილობდენ ციხის აღებას, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა. ძველათვე ნათქვამია: „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, სწორეთ ასე მოუვიდათ ქართველებს. როდესაც შახთან-შახი ცხენზე მჯდომარე ათვალიერებდა ხოლმე თავის ჯარებს, რაღაც ეშმაკათ, მას თვალი მოჰკრა ქართველთა თავადის ცოლმა და ძრიელ მოეწონა თურმე. დაიკრა ქალმა გულზე ხელი და თქვა: „ღმერთმა ნუ ქნას, თუ შახთან-შახი ჩემი ქმარი არ გამხდარიყოსო“. მერე შეუდგა შეჩვენებული ქალი ქმრისა და სამშობლოს ღალატს. ეშმაკისაგან დაძლეულმა ქალმა მიწერა შახთან-შახს, რომ შენმა სიშვენიერემ ყოველივე დამავიწყა და თუ ცოლათ შემირთავ და ჩემ ქმარს მოაკვლევინებ, მაშინ იცოდე ციხეს აგაღებინებო. შახთან-შახს, რასაკვირველია, გაეხარდა ამ წერილის მიღება და თანხმობის პასუხი შეუთვალა. ქალმაც აცნობა ყოველივე საიდუმლოერთ დღე, ქართველებს უეცრათ დაესხენ მტრები, დილა იყო და დარაჯებმა ვერც კი გაიგეს მტრის შემოპარვა, ქართველები სულ ერთიანათ შემუსრეს.

---

*) იხ. „კვალი“ № 29.

ამ დროს წყეული დედა-კაცი ხელებ გაშლილი მიეგება შახთან-შახს და უპირებდა გარდახვევას და ტრფიალს, მაგრამ შახთან-შახმა იმისთანა მრისხანე სახით შეხედა მოღალატეს, რომ ქალმა მაშინვე იგრძნო სწორეთ მოვტყუვდიო და გული წაუვიდა. შახთან-შახის ბრძანებით ქალი მოაბრუნეს და შემდეგ შახმა გამოუცხადა: „როგორც შენ უღალატე შენ პირველ ქმარს, ისე მეც მიღალატებო". უბრძანა მხლებლებს, რომ ცხენის კუდზე თმით გამოებათ და ისე გადაეგდოთ კლდეზე. ბრძანება მყისვე აღასრულეს და შეჩვენებული დედა-კაცი სააქაოთაც წაწყდა და საიქიოთაც. ამ გვარი დასჯა ძრიელ მოეწონათ, როგორც ქართველებს, ისე სპარსელებსაც. შახთან-შახმა დაიმორჩილა ციხის ბატონი, დაადო ხარჯი და გამარჯვებული დაბრუნდა შინ. მას შემდეგ ამ ციხეს ეძახიან კიდევ „შახთან-შახ-ყალას".

ეს ამბავი რომ გაათავა დედამ, მადლობა შევწირე. მერე მითხრა: ახლა წაბრძანდით, ციხე დაათვალიერეთ და შემდეგ კიდევ ჩემთან მობრძანდითო. მე, მახდი-ჩაფარი და ადრინდელი მასპინძელი ქიამალ გაუდექით გზას. გავიარეთ ერთი ვერსი თუ არა გამოჩნდა ქართლის უძველესი ციხე, მაგრამ ვინ მოთვლის იმ დიდებას, რა დიდებითაც არის შემკული ეს ციხე. ორ დიდ მთას შუა სადაც გაჰყვება ჭეათ-ხევი (ჭერათ-ხევი), არის მოვაკებული, მაღალი მთა-გორა, რომელიც პატარა უღლით დაკავშირებულია მარცხენა დიდ მთასთან. ამ ვაკეს სიგრძე ექნება 400 არშინი და სიგანე კი 146; ამ მოვაკებულ გორას გარეშემო არტყია ძრიელ ღრმა (200 საჟენამდე მიახწევს), ღრადო (обрывъ) და სამკუთხივ უვლის შავი-წყალი. აი, ამ მიუდგომელ ადგილზე დგას საშინელი - მაღალი „ქაჯთა-ციხე", რომელსაც, სამწუხაროთ, არა აქვს ადგილი არც „ქართლის ცხოვრებაში" და არც ბატონიშვილი ვახუშტის „გეოგრაფიულ აღწერაში". გავიარეთ კიდევ ნახევარი ვერსი და მივადექით იმ ვიწრო უღელს, რომლიდანაც შეიძლება შეძვრეს კაცი ციხის კარებში. რადგანაც შესავალი გაფუჭებულია, ამიტომ შესვლა ცოტა არ იყოს გამიჭირდა, მაგრამ ჩემი მხლებლები ისე თამამათ დარბოდენ საშიშარ ადგილებზე, როგორც ჯიხვები. შევედი და დაწვრილებით დავუწყე თვალიერება. შეხვალთ, თუ არა მარცხნივ დაინახავთ ძრიელ-მაღალ ექვს-კუთხიან კოშკს, რომელსაც სამი კუთხით გარს ავლია დაბალი ქვიტკირის გალავანი; როგორც კოშკს, ისე გალავანს აქვს დატანებული სანიშნებელი (амбразуры), მაგრამ ეს სანიშნებელნი შემდეგში უნდა იყვნენ გაკეთებული და არა აშენების დროს. ძველათ შეილდისრებისათვისაც ატანდენ სანიშნებელს, მაგრამ იგი სხვანაირათ იყო მოწყობილი. ჩრდილოეთით დანგრეული შენობაებია. ციხის კარების თავზეც კოშკია. კარების მარჯვნივ არის დიდი ქვითკირის ორმო. გაიელი ცოტას და კიდევ ნანგრევები შეგვხვდება. გაიელი კიდევ რამდენიმეს და მიადგები შვენიერ ეკლესიას, რომელიც თლილი ქვითაა აშენებული; მაგრამ თალი აღარ აქვს. ამ საყდართან ვნახე ერთ ქვაზე ხუცური ასოები: Ъ Ҟ; თუმცა დედამ მითხრა, რომ იქ ბევრი წარწერებიაო, მაგრამ მეტს მე ვერ მივაგენი, რადგანაც ყოველივე თოვლით იყო დაფარული. საყდარს იქით არის დიდი უზარ მაზარი ჭა, რომელშიაც დღეს წყალი აღარ არის. მარცხენა მხარეს კიდევ დანგრეული შენობებია. გარშემო იმისთანა საშიში გადასახედია, რომ კაცი ახლოს ვერ მივა ნაპირზე, რადგანაც თვალს წაართმევს. ჭიათ-ხევი სავსეა მაღაროებით მტკვრის შეერთებამდე, რომელიც აქედან ექვს ვერსზეა. როცა გული მოვიჯერე დათვალიერებით, მახდი-ჩაფარს ვთხოვე რომ ხელათ სამხარი ეჭმია. ჩვენ გულდასმით შევექეცით სამხარს. ღვინოს ჩემი მხლებელნი ჩემზე კარგათ მიირთმევდნენ და მოლებს აგინებდენ, რომ ღვინის სმას გვიშლიანო. სამხარს შემდეგ დავბრუნდით დედასთან, რომელმაც დაგვახვედრა ჩაი და ცხელ-ცხელი ქადები. მოხუცმა გამომკითხა ჩემი აზრი შესახებ ციხისა და მითხრა: ზაფხულში ბევრათ უკეთესი სანახავიაო. გარდა ამისა დამისახელა რამდენიმე ციხე და ეკლესია, სახელდობ: მგელ-ციხე (ყურთ ყალა), მისვე მახლობლათ, ბორძაი-შარის ციხე (ყალა-ბალჩასი), წყაროსთავის ეკლესია, ურთის ეკლესია, ჩაისის ეკლესია და სხვ. ამ დროს საღამომაც მოაწია და მეც ჩემ ბინაზე გასამგზავრებლათ მოვემზადე. მოხუცი ბევრი მეხვეწა დარჩიო, მაგრამ მე არ შემეძლო; სამაგიეროთ მთხოვა ამ ცოტა ხანში ჩემ შვილი-შვილს ვათხოვებო და ქორწილში დაგვესწარიო; აგრეთვე ჩემი შვილი-შვილის ნათლობაც იქნებაო და მაშინაც მობრძანდითო. რამდენსამე ხანს შემდეგ მართლაც დავესწარი ამ ქორწილს, მერე ნათლობაშიაც ვიყავი და დიდათ ვისიამოვნეთ; მოლხენა და თამაში ნამდვილი ქართული ცოდნიათ, მაგრამ უღვინოთ ყოველსავე ამას ის შნო და ლაზათი არ ჰქონდა, რასაც ვხედავთ საზოგადოთ ქართულ ლხინის დროს.

ოტია ათაბაგი.

(შემდეგი იქნება)

## საზარელი შიში.

(ინგლისურიდან).

არ იფიქროთ, რომ მე მოშიშარი ქალი ვიყო, და არც მახსოვს ოდესმე ადვილათ შევშინებულიყავი, მაგრამ ერთხელ, ორი საათის განმაელობაში რომ შიში გამოვიარე მიკვირს ცოცხალი როგორ დავრჩი. როცა კი მამაგონდება ის შემთხვევა, ტანში ჟრუანტელი დამივლის ხოლმე. არასოდეს არ მომწონდა მოშიშარი ადამიანი. ბავშობაში მუდამ ბნელაში დაძინება მესიამოვნებოდა. შკოლაშიაც კი, საშინელი ცელქი ვიყავი და მიყვარდა ამხანაგების შეშინება. ერთი წელიწადია, რაც სწავლა დავასრულე და დედ-მამის ოჯახში ვცხოვრობ. ჩემს მეტი ქალი არა ჰყავთ ჩემ მშობლებს; ვარ ოცდა სამის წლისა. ჩვენ ვცხოვრობთ ლონდონის მახლობლათ საკუთარ მამულში: მაქვს ჩემთვის ერთი ცალკე ოთახი, სადაც თავმოყრილია მთელი ჩემი ქონება—ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. მიყვარს ცხენოსნობა და სხვა-და-სხვა გვარი ვარჯიშობა და ამიტომ მით ჯანმთელი და გულ-მაგარი ქალი ვარ. მოგახსენებთ ჩემ საშიშარ შემთხვევას:

მე დამპატიჟა ბიძა ჩემმა, რომელიც ცხოვრებს ერთ ქალაქში ორასი ვერსის მანძილზე ჩვენი სახლიდან. დედა ჩემს არ უნდოდა მარტოკა წავსულიყავი, თითქო გრძნობდა, რამე შემემთხვევოდა. „თუ მაინც და მაინც მარტო გაემგზავრები, დღით წადიო“, — მირჩია იმან. მაგრამ მე ვუთხარი, რომ არ მიყვარს რკინის-გზით დღე სიარული და ამასთან დროც მეტი დამეკარგება; ამალამ წავალ და დილით იქ ვიქნები-მეთქი.

როგორც იქნა დავითანხმე დედა და ჩავალაგე საჭირო ბარგი. თავის დროზე წავედი რკინის გზის სადგურზე ღამის მატარებლის შესახვედრათ. რამდენსამე წამს შემდეგ მატარებელიც მოვიდა. მამა ჩემმა მირჩია, ქალების ვაგონში ჩაჯექიო, მაგრამ არაფერი არ ვუთხარი და პირველ შეხვედრილ ვაგონში ჩავჯექი, სადაც ორი მოხუცებული კაცი იჯდა. გზაზე საკითხავათ გაზეთები და წიგნები წამოვიღე, სანთელიც თან მქონდა. გამოვემშვიდობე მამას და მატარებელიც დაიძრა.

მართალი უნდა გითხრათ, ჩემი თანამგზავრები მაინც და მაინც სასიამოვნონი არ იყვნენ ჩემთვის; ერთმა მაშინვე დაიძინა და ამოუშვა საზარელი ხვრინვა; მეორეს საშინლათ ახველებდა, ეტყობოდა მძიმე სურდო ჰქონდა, რადგან ყოველ წამში ცხვირს იხოცდა. ერთ ხანს გაზეთი ვიკითხე და მერე მეც ჩამეძინა. ძილში საკმაო დრო „გასულიყო „და რამდენიმე სადგური კიდევაც გაგვევლო. ჩემ გამოღვიძებაზე მატარებელი მიადგა ერთ სადგურს და ჩემი თანამგზავრები ემზადებოდენ ვაგონიდან გადმოსვლას. ერთმა მათგანმა მითხრა:—თქვენი სადგური ჯერ შორს არის და, თუ გნებავთ, შეგიძლიათ აქ ჩამობრძანდეთ და ჩაი მიირთვათ.—მე გამეხარდა და მადლობა მოვახსენე; შევედი ბუფეტში, ჩაი მოვატანინე და დავლიე. შემდეგ ისევ დავბრუნდი ჩემ ვაგონში, რომელშიაც ახლა ჩემს მეტი არავინ იყო. ამ დროს შემოვიდა კონდუქტორი და მკითხა:—ხომ არაფერი გნებავთ? ან, რადგან შემდეგი სადგური შორს არის, შეიძლება გსურთ კარები დავკეტოვო?*).—არა, მადლობელი ვარ—მივუგე მე—ძალიან კარგათა ვარ და არც კარის დაკეტვაა საჭირო.

კონდუქტორი გავიდა. ცოტა ხანში მატარებელიც დაიძრა. უცებ გაიღო კარები და შემოვიდა ერთი მაღალი, ვძელ პალტოიანი და თავ-პირ შეხვეული კაცი.

მისი მოსვლა არაფრათ მეჭაშნიკა, მაგრამ რას ვიქმოდი. მე ჩემთვის კუთხეში ფანჯარასთან დავჯექი. მატარებელი მოშორდა სადგურს. ამ კაცმა შემოიძრო თავ-პირიდან სახვევი, დაკეცა და ჩადო აბგაში. შემდეგ პალტო გაიძრო. ჩემ თვალ წინ იდგა: ახალგაზდა, ასე ოცდა რვა წლის კაცი, გრძელი ულვაშებით და მოკლე წვერით. მე შევხედე, ისიც შემომცქეროდა—ეს არ მომეწონა.

— „გეშინია განა?“—დავეკითხე ჩემ თავს, მაგრამ მალე გავიმაგრე გული და გავიფიქრე:—რავუყოთ რომ ყმაწვილმა კაცმა შეხედოს ქალიშვილს? ამით რა იქნება?

სანთელი ავანთე და წიგნის კითხვა დავიწყე.

— ნებას მომცემთ, ფანჯარა გავაღო? დამეკითხა ის უეცრივ.

— ინებეთ,—ვუპასუხე მე, და განვაგრძე კითხვა.

ცოტა ხანს შემდეგ სიცივე ვიგრძენ, და ის იყო ავწიე თავი, რომ მეთქვა ფანჯარა დაეხურა, რომ შიშისაგან შევკრთი და ენა დამება.

ამ კაცს ამოეღო მათრაშიდან მაკრატელი და სამართებელი დანა. დანა გაეხსნა და ლესავდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდენ, მან გაიცინა. ახლა კი ძლიერი შიში ვიგრძენ, გული საშინლათ ამიძგერდა. დავდე წიგნი, სანთელი გავაქრე და თვალ·

*) ინგლისში ვაგონები ისეა, ერთი-მეორისაგან გაყოფილი, რომ ერთი ვაგონიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია, მხოლოთ განის კარი აქვს და შეგიძლიათ პირდაპირ სადგურზე გადმოხვიდეთ, როცა მატარებელი გაჩერდება.

გაჭყეტილი შევცქეროდი ამ კაცს.

— თუ შეიძლება სანთელი აანთე.—მითხრა მან,—ჩქარა! დროს ნუ ჰკარგავთ!

— არ მესმის თქვენი ლაპარაკი!—ვუთხარი მე და კინაღამ ტირილი დავიწყე.

— მაშ გამიგონეთ!—მითხრა მან.—მე ვხედავ, რომ თქვენ გეშინიათ და არც გასაკვირია; თქვენ ადგილზე მეც შემეშინდებოდა. თქვენ მარტოკა ხართ ამ ვაგონში ისეთ კაცთან, რომელსაც, უკეთუ მოძურევებს, შეუძლია დაგახჩოს და გადაგისროლოს, აი, ამ ფანჯარიდან. სანამ მატარებელი შემდეგ სადგურზე მივიდოდეს, ორი საათის დრო მაქვს, და ხომ ხედავ, მანამდის ჩემ ხელში ხართ და რაც მინდა იმას გიზამთ. თუ გსურთ გადარჩეთ უბედურებას, ასრულეთ ის, რასაც მე გეტყვით.

— ახლა კი, რაც გითხარით, ის შეასრულეთ— სანთელი აანთეთ. ამ ბრძანებითი კილოთი ადგა, დადგა ჩემ წინ და არ მაშორებდა თვალებს.

შემდეგ აიღო სანთელი, დადგა შუა სკამზე და მითხრა:—

— ხო ასე ჯობია, უფრო სინათლეა. ახლა ხომ ხედავთ, ვიჩოქებ. შემომხედეთ სახეზე. ხომ კარგათ ხედავ?

—გხედავთ—ვუპასუხე ძლივს.

— ბევრი თმა მაქვს, არა?

— მართალია!—მიუგე მე.

— ხედავთ ამ მაკრატელს?

— ვხედავ.

— ამ დანასაც?

— დიახ.

— ბლაგვეა ხომ? მაგრამ შეიძლება თუ არა ავ-ოს ამითი კაცმა კაცს?

— რატომ არა, თუ კი სურს?—მიუგე მე, აკანკალებული ხმით.

— დიახ! მართალია და მოვიხმარ კიდევაც, თუ არ შეასრულებთ, რასაც გეტყვით.

— ახლა, ჯერ ეს ხელთათმანი გაიძრეთ.

მე ვყოყმანობდი.

— გაიძრეთ-მეთქი!—მიბრძანა მაღალი ხმით. შევასრულე.

— კარგი! ახლა, ჩემთან ახლოს მოიწით და უდექით.

— რას შევუდგე?

— ნუ სულელობთ! ჰკუა გაქვს და მოიხმარე. ეს ულვაშები მომკრიჭეთ.

— არ ვიცი, როგორ უნდა მოგკრიჭო.

— ამ დანას ხედავთ? ეცადეთ და მომკრიჭეთ. რა! აიღეთ მაკრატელი!

რაღას ვიქმოდი, ავიღე მაკრატელი და შევუდექი საქმეს.

— მომკიდეთ ხელი ნიკაპზე—მითხრა მან,—რიგიანათ, თორემ ხომ იცი!?

დავიწყე კრეჭვა, მაგრამ მარტო ღმერთმა იცის, როგორ და რას ვშვრებოდი.

— სულ ძირში მომკრიჭეთ, რადგან მერე უნდა მომპარსოთ—მითხრა მან.

როგორც იქნა, გავათავე.

– ხომ კარგათ მომკრიჭეთ?—მკითხა.

— კი!—მოვუგე მე.

— კარგი, ახლა წვერი გამკრიჭეთ.

— არ შემიძლია... დავიწყე, მაგრამ ისეთ ნაირათ შემომხედა. რომ შიშის ჟრუანტელმა ამიტანა. რას ვიქმოდი? განვაგრძე და წვერიც გავკრიჭე.—ახლა თმა მომკრიჭეო—მითხრა. ხელ-ფეხი მიკანკალებდა, გული მიძგერდა, შიშით ერთიან ვცახცახებდი. რის ვაი-ვაგლახით გავათავე კრეჭვა. შემდეგ ამოიღო აბგიდან წყალი, საპონი და რაღაცეები და მითხრა:— ახლა მომპარსეო.—

ჯერ მასწავლა, როგორ უნდა მომეპარსა. „ფრთხილათ, ფრთხილათო“—მეუბნებოდა.

როგორც იყო, დიდი წვალებით დავასრულე ჩემი საქმე და შევხედე ჩემ მასწავლებელს. ოხ! ლამაზი კაცის მაგიერ, რა საშინელი უშნო, საზარელი სახე მიდგა წინ: უწვერ-ულვაშო, თავ—მოხოტრილი.

მერე აჰკრიფა რაც თმები მოიპნა და გადაჰყარა ფანჯარიდან. შემდეგ დახურა ფანჯარა და მითხრა:

—სანთელი გააქრე. მეც გავაქრე და წაველი ჩემ კუთხეში, სადაც მოსხლეტით დავეშვი საჯდომზე.

—მოითმინეთ ცოტა,—მითხრა მან.—კიდევ ერთი რამ უნდა შეასრულოთ.

—ვაიმე! რავქნა, არ შემიძლია, ღონე არა მაქვს!..

—ნუ გეშინია! საქმე სულ ადვილია!—არაფრის გულისათვის არ გამოიხედო ჩემკენ, სანამ თვით არ მოგცემ ნებას, თორემ იმ წამსვე გაგათავებ.

გავიბრუნე თავი და ფანჯარას დავუწყე ყურება. ისეთ ცუდ გუნებაზე ვიყავი, რომ მეგონა ვკვდებოდი, მაგრამ მისი ფაცური მაინც მესმოდა: „რაღაც დიდ საქმეში უნდა იყოს“,—ვფიქრობდი ჩემთვის. „სწორეთ შეშლილია და ვაი თუ ამდენ, წვალებას შემდეგ მიპირებს მოკვლას—ღმერთო რა ვქნა! როდისღა გაჩერდება ეს მატარებელი და როდის მეღირსება მოვრჩე ამ შიშს“. უცებ შევამჩნიე, რომ მატარებელმა უკლო სიარულს და მით მივხვდი სადგუ-

რა ახლო იყო. გული სიხარულით ამევსო, მაგრამ ამ დროს დამიძახა:

— ახლა შეგიძლიათ მოიხედოთ ჩემკენ, მეტს არას გიკეეთ. კიდევ ხუთი წამი და თქვენ განთავისუფლებული იქნებით—მითხრა მან.

მოვიხედე, მაგრამ რა ვნახე!—ერთი მოხუცებული ფრანგის მღვდელი, ნამდვილ მღვდლის ტანისამოსში, თოვლივით თეთრი თმა და წარბები.

ჩვენს მეტი რომ ვინმე სხვა ყოფილიყო ვაგონში და ჩემი თვალით არ მენახა ყველა ეს, არას გზით არ დავიჯერებდი რომ, ეს ის კაცი იყო, რომელიც ამ წამში ჩემთან ერთად იჯდა ვაგონში.

მივედით სადგურზე, მან სწრაფად გააღო ვაგონის კარები, ქუდი მოიხადა, დიდი სიმდაბლით დამიკრა თავი.

—ღმერთმა მშვიდობა მოგცესო—მითხრა და წავიდა.

ორი წუთის უკან ვაგონში, შემოვიდა პოლიციის მოხელე და ყველას ეკითხებოდა:- ხომ არ გინახავთ მაღალი ტანის, შავ-ულვაშა და მოკლე წვერიანი კაციო?

მეც მკითხა, რასაკვირველია, მაგრამ ისე შეშინებული ვიყავი, რომ ხმის ამოღებაც არ შემეძლო.

გაიპარა და წავიდა, ჩემი მოხუცებული მღვდელიც, და, მგონია, დღესაც არსად უნახავთ.

ინგლისელი ქალი.

---

## ქართული მწიგნობრობა

### და

### ბათუმში ქართული წიგნების ბეჭდვა.

დასავლეთ საქართველოში, ანუ იმ-ერში,—იმერეთში, ქართული მწიგნობრობის დაარსების და გავრცელების საქმე სულ უახლოეს დროს მიეწერება; ეს იწყება 1875 წლებიდან და ისე სწრაფათ მიდის წინ, რომ რამდენიმე წელს შემდეგ ჩვენ ქართლელებს გაგვისწრობენ წიგნების ბეჭდვით და მწიგნობრობის საქმით.

ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც იმერნი ჩვენზე უფრო მკვირცხლნი არიან, მალ-მიმხვედრნი, მიმბაძავნი, წინ-სვლის მაძიებელ-მლტოლვილნი, საზრძელო საქმეში ბრძენნი და ხელოვანნი, სავაჭროში მოხერხებულნი, სამხედროშიაც ჩიტივით მფრენავ-მებრძოლნი; ერთი სიტყვით, იგინი ბერძნებს გარდა ფრანცუზებს ჰგვანან და ჩვენ კი დაყაჭებულ სპარსელებს. ეს უტყუარი ჭეშმარიტება გახლავთ.

იმერეთის ერის ნიჭს, სასიქადულო მიდრეკილე-
ბას, კოპწია ცხოვრებას და სიბრძნისადმი აღმომზე-
ბით სრბოლას ჩვენი ძველი ბრძენი ქართველი კაც-
ბიც მოგვითხრობენ. მრავალს შეუმკია ეს ერი ქებ-
დიდებით და მოუხსენებია, რომ:

,,ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რ-
სხვისა",

ანუ ჩვენი დროის სიტყვა:

,,გმირი იმერი ზრდილობით" და სხვანი.

იმერთა მახლობლათ დგანან დასავლეთ ს-
ქართველოს სამხრეთ ნაწილის მცხოვრები ქარ-
ველნი, ანუ მესხნი, რომელთა განვლილ დრ-
თა სამწიგნობრო შრომა, მეცადინეობა და ბრძ-
ქართველთ მწიგნობართ კაცთა ცხოვრების ცნობ-
ბი ნათელს ჰფენს მთელ საქართველოს ისტორი-
მთელ ჩვენ წარსულს.

უსაფუძვლოთ ხომ არ უთქვამთ ამათზე, რ-
,,მესხი სწავლითა ქებულიო". იმერნი და მესხნი ჩვენ-
მაღლა იდგენ ყველაფრით, მესხნი ყველაფერ საქ-
ში ლამპარივით ნათობდენ. ასევე იმერნი, ჩვენ
მძიმის მიმოხვრისანი ვიყავით და ვართ კიდევაც.

იმერნი და მესხნი ერთი იმით იყვენ ხელ შ-
წყობელნი და ჩვენზე დაბლა მდგარნი, რომ იგ-
საქართველოს სატახტო დედა ქალაქისაგან შო-
იყვენ, ჩვენ კი ახლოს. ქალაქი—ქართლის შუაგ-
კარის ბჭეთ ითვლებოდა. რიგი იყო, რომ იმერ-მ-
ნი აქ უნდა ყოფილიყვენ და ჩვენ მძიმე ქართვ-
ნი კი მესხეთ-იმერეთში.

ჩვენ ძლივ-ძლივობით და რის წვალებით გა-
ცხოველეთ მწერლობა და, ამის დამწყებ-
თითქმის იმერნი იყვენ. ,,ცისკრის" რედაქ-
რი ივ. კერესელიძე იმერი იყო, ასევე ,,დროებ-
ქურნ. ,,კრებულის", ჟურ. ,,იმედის", ,,ნობათ-
,,სასოფლო გაზეთის", კვირის გაზეთ ,,შრომ-
,,ქართული ბიბლიოთეკის", ,,გუთნის დედ-
,,მოამბის" და სხვ.

დღეს დრო გამოშვებითი გამოცემაებს გა-
წიგნების ბეჭდვითაც წინ წავიდენ. სახუმარო არ ა-
იმდენი წიგნების ბეჭდვა, რასაც მარტო კ. თავ-
თქილაძის სტამბა ბეჭდავს სენაკში, ოზურგეთში
ბათუმში. ამ დღეებში თფილისში მივიღეთ ორი
ლი წიგნი, გამოცემული ბ. ლალიძის მიერ და
ბეჭდილი ქუთაისში ბბ. კილაძის და ხელაძის ს-
ბაში. ორივე სუფთათ არის გამოცემული, შინაა-
თაც გვარიანია; ერთი ცახელის ლექსებია და მ-
რჩეული ლექსები ჩვენი სიტყვა კაზმული მწერ-
ბისა. ერთს ფასი 10 კაპ. და მეორეს 5 კაპ.

ერთიცა და მეორეც ცხადათ მოწმობს,
დღითი-დღე ჩვენ ახალგაზდობაში ჭეშმარიტ-

სავსე მამულის სიყვარული ფეხს უნდა იდგამდეს. სულით და გულით გვენატრება ჩვენ ქვეყანაში საჭირო წიგნაკების გამოცემა, გამრავლდება და გავრცელება, მაგრამ ყველაზე მეტათ კი უფრო იმასაც ვნატრობთ, რომ ჩვენ სამშობლო მწერლობის ასპარეზზე უანგარო მშრომელნი გამრავლენ, მათ გვამში წმინდა მამულის სიყვარულმა დიდი ადგილი დაიკავოს.

ყველაზე უფრო სასიხარულო აქ ის არის, რომ ჩვენ მოვესწარით ბათუმში ქართული წიგნების ბეჭდვას. მე კი მაინც მიკვირს ეს საქმე და სხვებისა კი რა მოგახსენოთ.

სმენა რომ იყოს, მაშინ განელილ დროთა ჩვენთა მამა-პაპათა ძვალნი სამარეშიაც კი უნდა შეიძრენ სიხარულით, რომ დღეს მათ ნატვრას —ქართულ სიტყვიერებას კვალათ მიეცა აღორძინება; ვიტყვით, რომ ძველათ, ოსმალთაგან უწყალოთ დახოცილთ და წამებულთ ქართველთა მამათა ნატვრა აღსრულდა, მათი ცრემლი და სისხლი უბრალოთ არ დაინთხა, მათი ტანჯვა და წამება დროთა და ჟამთა ვითარებამ შეიწყნარა და სადაც გუშინ წინ ქართველთა ხსენება და ენა ფერფლათ ქცევას და პირქვე დამარხვას ეძლეოდა, დღეს იქ ჟამთა ვითარების მეოხებით, ქართული სტამბის ჩარხი ტრიალებს და ქართული წიგნები იბეჭდება.

გიხაროდენ განელილ დროთა ისლამის მეოხებით ტანჯულნო და წამებულნო ქართველნო, რადგანაც ანდერძი თქვენი და ნატვრა აღსრულდა. 1875 წ. განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე ბათუმის ფაშამ პატიმარ ჰყო, თითქმის დევნა ასეთი სიტყვებით: მიკვირს, რომ ჭკვიანი კაცები ბძანდებით და მთა-ტყეებში მიდიხართ, ისიც ოსმალის სამეფოში და ეკლესიების გაცნობა და აწერა გინდათ. საკვირველია თქვენგან ასეთი უბრალო რამეებისთვის ხეტიალი, მე ძლიერ მიკვირს.

განსვენებული 12 ღღეს დარჩა იქ და ნებას ელოდა; ძლივს მიიღო მაშინდელი ქართველ მაჰმადიანების „მეჯლისისგან“ ნებართვა. მაგრამ ისიც შიშით, გათათრებული ქართველნი სრულიათ გულგადაბანილნი და გაქვავებული გრძნობის აღმოჩნდენ. იმათ განაცხადეს, რომ:

— ჩვენ ქართველები არ ვართ, ეს ადგილებიც არ არის საქართველო, ჩვენ ოსმალები ვართ, ეს ადგილებიც ოსმალეთია, ქართულსაც მალე დავივიწყებთ. ჩვენი ხოჯა-მოლლები და რჯული გვიშლის ქართულს.

ასევე მწუხარებით იყო სავსე გიორგი ყაზიბეგი, რომელიც აჭარაში მისვლის დროს ასე წერდა:—„ნუ თუ აჭარაშიაც დავარდა და მოისპო ქართული ენა, ნუ თუ გათავდა აქ საქართველოს არსებობა? მაგრამ არა, არა, აგერ ჩვენ მივედით აჭარაში და იქ ვნახეთ, რომ პატარა ბიჭები ერთმანეთს ქართულათ ელაპარაკებოდენ, ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა“.

ეჭვი არ არის, რომ რამდენსამე ხანს რომ გაევლო კიდევ, მაშინ აქეთაც ისევე მოისპობდა ქართული ენა 30 წლის განმავლობაში, როგორც არტანუჯისკენ მოისპო, არტაანისკენ (არდაგანი) შავშეთისკენ და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვაგან, ყველას ვერ მოვთვლით.

აი, ასეთ კუთხის ქვეყანაში, ასეთ მხარეში, ასეთ ქალაქში, სადაც 1876 წ. ათი ქართული წიგნიც არ შეგვატავინეს ოსმალებმა, სადაც ქართველი 300 წლის განმავლობაში დევნასა და აოხრებას ეძლეოდა, სადაც ყველაფერი ნატამალებდა, დღეს იქ ქართველობამ თავი მოიკრიბა, მოქალაქობა კვალათ აღორძინდა, გაჩაღდა მრეწველობა და აღებ-მიცემობა, გაიმართა ქართული წიგნის საჭაჭრო, მას მოჰყვა სტამბაც და ქართული წიგნების ბეჭდვა.

მაშ ვისურვებთ, რომ ბათუმში ქართული წიგნების საქმე წინ წასულიყოს.

ზ. ჭიჭინაძე.

# საქველ-მოქმედო საქმე.

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით 16 მ. 70 კ. ჩემგან შეკრებილს ქ. თბილისში და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ ქუთაისის გუბერნიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც არის დაარსებული წყალ-დიდობისაგან და დიდ თოვლობისაგან დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენათ. შემომწირველთა სია: 5 მ.:—მათმა აღმატებულობამ ალექსი ანტონისძე სემეინიკოვმა. 2 მ.: მღ. ი. ბერიძემ, დიაკ. მირონ ომანიძემ. 1 მ.: მღ. ალ. რაზუმოვსკიმ, მღ. იროდ. გურგენიძემ, მ. გარსიევისამ, დიაკ. დ. გარსიევმა, დიაკ. დიმ. ჩოხელიმ, კოს. მირატოძემ. 50 კ.: დიაკ. სპ. უთმელიძე, მედავითნე ლაზ. ჩოხელიმ. 20 კ.: სოლ. და მარკ. მირატოძეებმა, ალ. რაზმაძემ და 10 კაპ. მედავითნე ალ. ბულგაკოვმა. სულ 16 მ. 70 კ

დიაკ. დავით გარსიევი.

ეს ფული გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადებანი

ᲒᲐᲛᲒᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡ-ᲧᲐᲠᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡᲐ ამით აცხადებს, რომ, რადგანაც 5-ს ივლისს არ მოხდა იჯარით გაცემა ხიდების ლატნებისა, ამიტომ 26-ს ამა ივლის დილის 12 საათზე გამგეობის დარბაზში (თბილისი რტიშჩევის ქუჩა № 26) დანიშნულია მეორეთ ვაჭრობა ხიდის სხვა-და-სხვა ზომის ნაძვის ლატნების (брусьевъ) დადგმისა, ზომით სულ 19400 კუბიკური ფუტისა.

ტეხნიკური და სხვა-და-სხვა გვარი პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის საეკონომიო განყოფილებაში დილის 9 საათიდან შუადღის 12 საათამდე, ყოველ დღე უქმეების გარდა. აგრეთვე გამგეობა მსურველებს ფოსტითაც გაუგზავნის ამის შესახებ ყველა ცნობებს. განცხადების წარდგენა შეიძლება პირადათ ან ფოსტით დაბეჭდილ კონვერტში, შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Управл. работъ Тифлисъ-Карской жел. дороги და ზედვე უნდა დაეწეროს: Къ конкурренціи на поставку мостовыхъ брусьевъ. განცხადებაში სწორეთ უნდა იყოს ნაჩვენები მასალის რაოდენობა, ვადა, ადგილი სადაც დაიდგმის მასალა და ფასი ვაგონებში ჩაწყობით და უამისოთ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილი იყოს სათავდებო თანხა 5 პროცენტი მასალის ღირებულებისა. შემდეგ თანდათან ყოველ ფულის მიღების დროს გამოერიცხება 10 პროცენტი, რათა ამნაირათ შესრულდეს სათავდებო თანხის სრული ჯამი, ესე იგი 10 პროცენტი მთელი მასალის ღირებულებისა.

## ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

### ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთუთხმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ნოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უასყიდლოთ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილიში. (12—3)

## ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝ ᲐᲛᲑᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘᲘᲗᲣᲠᲗ ᲔᲥᲘᲛ. Ს. Გ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡᲘ. Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

საავათმყოფოში დგას ოცდა თორმეტი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს: ექ. ს. გ. თოფურია.

ხირურგიულ და შარდით ექ. ზ. გ. პრყევალსკი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს—ქალი—ექიმი. მ. ფ. გაგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამის ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აპერაციის ფასი გარიგებაზეა.

საავათმყოფოს დირექტორი ს. გ. თოფურია.

(4—1)

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

მ ო ს ა ვ ლ ი ს მ ც ვ ე ლ ნ ი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, იპყრობს აღწერას თხუთმეტის ცხოველისას, ოც-და-ხუთი სურათით. იყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის, ხეთერელის და ბექანნეიშვილის მაღაზიებში; ახალ-სენაკში, ოზურგეთს და ბათუმში თავართქილაძის მაღაზიებში, ფასი ყველგან ერთი აბაზი.

Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку: Родного Слова Ушинскаго, Русской Рѣчи Вольпера, Курса Русскаго языка Левитскаго, Русской Рѣчи Черняевскаго, ამას გარდა წიგნში მოთავსებულია კიდევ ორი სხვა წერილი, Учебный планъ Инородческой школы и Курсъ начальной Кавказской школы, იყიდება იქვე,—ფასი ათი შაური.—

(6—3)